P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

მეგა კრედიტი

Mega Credit

ქუთაისი, რუსთაველის 141 („ჰოპულში“); (0 431) 27 52 45

ქუთაისი, ქავქავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

„ოქროს მოწმე“ დუმილს დაარღვევს?

რატომ გაუჩნდა „ნაცმოძრაობის“ ელიტას ახალაიებისგან დისტანცირების სურვილი

იხილეთ მე-2 გვერდზე

№ 12 (662) 22 - 28 აპრილი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | www.psnews.ge

„დნნ... დშნ“-ს სახლს ართმევენ...

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

აქვთ თუ არა ყოფილ „ნაციონალებს“ კავშირი უკანონო გარიგებასთან?

იხილეთ მე-3 გვერდზე

19 აპრილი რუსთაველზე

პრეზიდენტის გამოსვლის დროს მერაბიშვილმა აქცია დატოვა

ორი თვით ადრე დაანონსებული 19 აპრილის აქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისათვის შედგა. პარტიის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი აქციით კმაყოფილი დარჩა. საპარლამენტო უმცირესობის წევრების განცხადებით, რუსთაველის გამზირზე დაახლოებით ათი ათასობით ადამიანი იყო.

„აქციაზე, დაახლოებით, ათი ათასობით ადამიანი იყო, გალერეის იქით ხალხი არ ჩანდა, მეორეს მხრივ კი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემდე ვხედავდით, რომ ხალხი იყო. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს რიცხვებს, მთავარია ხარისხი,“ — განაცხადა უმცირესობის ერთ-ერთმა წევრმა **გიორგი ვაშაძემ.**

ინტერნეტგამოცემა For.ge კი ავრცელებს ინფორმაციას, რომ გაშლილ სივრცეში ადამიანების ოდენობას გუგლის სისტემით ითვლიან და ამ მეთოდით გაანგარიშების შედეგად, 19 აპრილის აქციის მონაწილეთა რაოდენობა 4-5 ათას კაცს შეადგენდა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა 19 აპრილის აქციისათვის პარლამენტში ტაიმ-აუტი აიღეს და ორი დღე საპარლამენტო ცხოვრებაში არ მონაწილეობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში პარლამენტი რამდენიმე მნიშვნელოვან კანონპროექტს იხილავდა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

შეღავათიანი აგროკრედიტით „ვაზიანი კომპანი“-მ 300 ათასი აშშ დოლარი დაზოგა

იხილეთ მე-6 გვერდზე

არც ისე იოლია, ქართულ საბანკო სექტორს უწოდო პროგრესული...

იხილეთ მე-5 გვერდზე

დევნილთა გრძელვადიანი განსახლება მაისიდან დაიწყება

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

იხილეთ მე-3 გვერდზე

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ელვარება და უფერულობა

იხილეთ მე-5 გვერდზე

დოკუმენტური ფილმების ფესტივალი თერჯოლაში

იხილეთ მე-4 გვერდზე

„მე წავიკითხავ „ვეფხისტყაოსანს“

იხილეთ მე-7 გვერდზე

გვირილა

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საავჯრო ცენტრი „ჰოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PS news.ge

ISSN 1987-7056

ჰოროსკოპი — 7.

სკანვორდი — 7.

„ოქროს მოწმე" დუმილს დაარღვევს?

რატომ გაუჩნდა „ნაცმოძრაობის" ელიტას ახალაიებისგან დისტანცირების სურვილი

თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილემ დათა ახალაიამ სოციალური ქსელით დუმილი დაარღვია და ყველაფერში სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემლად წოდებული ვანო მერაბიშვილი დაადანაშაულა. დუმილის დარღვევას კი, იმავე სოციალურ ქსელში, მეორე წერილი მოჰყვა, რომელსაც პირველის საწინააღმდეგო შინაარსი აქვს.

ბაჩო ახალაია

დათა ახალაია

ორი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადება და ერთი ავტორი?!

„საქართველოში დატრიალებული მრავალი უბედურების სათავე ერთი კაცია — კაცი, რომელმაც ჩვენთან — ჩემთან და ჩემს ძმასთან — ბრძოლას გადააყოლა ხელისუფლება და ქვეყანა," — აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი და თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე დათა ახალაია. ის პირველ წერილში ასევე ამბობს, რომ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ მტკიცებულებებიც გააჩნია, აპირებს გამოძიებასთან ითანამშრომლოს და პასუხისმგებლობას არ გაურბის.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე გამაჩნია ამის მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის ავანტიურა ჩემი ძმის - ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა ვანო მერაბიშვილმა, გაწირა რა სასიკვდილოდ ჩვენი მებრძოლები, უკიდურესად გაგვირთულა ურთიერთობები ჩვენ ქისტ ძმებთან და რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი,"— აცხადებს დათა ახალაია.

თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ვანო მერაბიშვილს ციხის კედრების მომზადებასა და საზღვარგარეთ უსაფრთხო მარშრუტირების უზრუნველყოფაშიც ადანაშაულებს, როგორც სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ არა ვანო მერაბიშვილი, „ნაციონალური მოძრაობა", მიუხედავად შეცდომებისა, ასე გამანადგურებლად არ დამარცხდებოდა არჩევნებში.

პირველი წერილის შემდეგ, დათა ახალაიას სახელით, სოციალურ ქსელში კიდევ ერთი განცხადება გავრცელდა, რომელიც 15 აპრილს გავრცელებული წერილის საწინააღმდეგოა და ნათქვამია, რომ პირველი წერილი დათა ახალაიას არ ეკუთვნის.

მეორე განცხადებით ახალაია ამბობს, რომ გადაწყვეტილი აქვს საქართველოში უახლოეს მომავალში ჩამოსვლა და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, განსაკუთრებით — იმაზე, თუ როგორ გეგმავდა ამჟამინდელი ხელისუფლება 1 ოქტომბრის შემდეგ საქართველოში სამოქალაქო ომს და რა კავშირში იყო ეს ყველაფერი რუსეთის ხელისუფლებასთან. პირველი წერილის მსგავსად, ახალაიას ახალი მთავრობის საწინააღმდეგო მტკიცებებულები ისევ გააჩნია.

რომელი განცხადება ეკუთვნის დათა ახალაიას?!

დათა ახალაიას ადვოკატის ირაკლი ზაქარეიშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის სახელით სოციალურ ქსელში გავრცელებული მეორე განცხადება პირველის (15 აპრილის წერილის) შეგნებულად გასაბათილებლადაა გავრცელებული.

„ჩემდამი მონიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ 16 აპრილს „ფეისბუქით" გავრცელებული განცხადება, რომელშიც დავით ახალაია ბრალს სდებს ივანე მერაბიშვილს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელებულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივ ქმედებებში, ნამდვილად ეკუთვნის დავით ახალაიას," - ამბობს ირაკლი ზაქარეიშვილი.

რაც შეეხება ახალაიას ოჯახს, ოფიციალური განცხადებები მათ არ გაუკეთებიათ, თუმცა ამ ბოლო დროს მედიაში უფრო ხშირად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალაიები მერაბიშვილს დაუპირისპირდნენ და „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანს ბაჩო ახალაიას დაუხმარებლობაში ადანაშაულებენ.

„ნაციონალური მოძრაობის" გენერალურ მდივანს და სააკაშვილის ხელისუფლების „ხერხემლად" წოდებულ ვანო მერაბიშვილს პარტიის კიდევ ერთი ცნობილი და აქტიური სახე, ამჯერად უკვე ყოფილი წევრი მარიკა ვერულაშვილიც დაუპირისპირდა და ყველაფერში ყოფილი პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი დაადანაშაულა.

საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის" და მისი პარტიის კრახი საპარლამენტო არჩევნებში მერაბიშვილის დამსახურებაა.

„დღესაც ვთვლი და მაშინაც ვთვლიდი, რომ მერაბიშვილის გვერდში დგომა დანაშაულია," — განაცხადა მარიკა ვერულაშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი კი მიიჩნევს, რომ მისმა მეგობრებმა ხელისუფლების ზეწოლას ვერ გაუძლეს.

„შეიძლება ხვალაც, ზეგაც, ოღონდ ამ შემთხვევაში იქნება ძალიან ცოტა ადამიანი, ვინც ჩვენთან იდგა წლების განმავლობაში და, შეიძლება, ვერ გაუძლოს სხვადასხვა ცდუნებას, ზეწოლას, დაშინებას, შანტაჟს," - განაცხადა ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა.

მერაბიშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის" სხვა ლიდერების მხრიდან ხელისუფლების მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს და ახალაიას პირველი წერილის უარყოფას კი მოჰყვა პრეზიდენტის გასაოცარი განცხადება „რუსთავი 2"-ის ტელეეთერში, რომ ის დათა ახალაიას, პრაქტიკულად, არც კი იცნობდა.

საზოგადოებაში დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ ახალაიები გაწირა.

„ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლების ანატომია

დათა ახალაიას პირველმა წერილმა და მარიკა ვერულაშვილის განცხადებებმა საზოგადოებაში მაშინვე გააჩინა კითხვა „ნაციონალური პარტიის" ლიდერებს შორის დაპირისპირებზე.

საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახი კახიშვილი ამბობს, რომ შიდა დინებები „ნაციონალურ მოძრაობაში" ყოველთვის იყო, მაგრამ, რადგან ხელისუფლებაში იყვნენ, ყველას ჰყოფნიდა სივრცე, საიდანაც სარგებელს იღებდა, ამიტომ ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ.

„ეს ვიზუალურად, თორემ შიგნით დაპირისპირება ყოველთვის არსებობდა ფინანსური რესურსების თუ გავლენის სფეროების ხელში ჩასაგდებად. დღევანდელი დაპირისპირება სწორედ იმან გამოიწვია, რომ ვიღაცას ჰქონდა მეტი, ვიღაცას უფრო მეტი და ვიღაცას ამბიცია აწუხებდა. „ნაციონალურ მოძრაობაში" ყოველთვის არსებობდა ვანო მერაბიშვილის ფრთა, ბოკერია-უგულავას „თავისუფლების ინსტიტუტის" ფრთა, ანუ ე.წ. ლიბერალები და, იმავდროულად, მერაბიშვილისგან გამოკვეთილი ის ჯგუფი, რომელიც გაძლიერდა და გაუჩნდა ამბიცია, იმდენივე რესურსი გაეკონტროლებინა, რამდენსაც მერაბიშვილი და ადეიშვილი აკონტროლებდნენ," — აცხადებს კახიშვილი და ახალაიას სწორედ ასეთ ფიგურად მიიჩნევს. „ახალაია გახდა ფიგურა, რომელმაც ჩათვალა, რომ ბევრი გააკეთა პარტიისთვის და გაუჩნდა ამბიცია ისეთივე გავლენის მოპოვებისა, როგორიც მერაბიშვილს და ადეიშვილს ჰქონდა," — აღნიშნა კახიშვილმა.

კახი კახიშვილის თქმით, „ნაციონალურმა მოძრაობამ" ამჯერად თავი ახალაიებისგან გაიმიჯნა.

„მასთან სასამართლო პროცესზე მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი დადის, ისიც — პირადი, მეგობრული კონტაქტების გამო.

„ნაციონალურ მოძრაობას", როგორც ორგანიზაციას, ახალაიას დასაცავად ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. პარტიის ორ კორდინატორს რომ დაიბარებენ ფინანსურ პოლიციაში, „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ბრიფინგს მართავს. ახალაიაზე ერთი სიტყვა არ უთქვამს. ფაქტია, მას ახალაიებისგან დისტანცირების სურვილი აქვს. ამით იმის დემონსტრირება უნდა, თითქოს ყველაფერი, რაც საქართველოში ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა – ხისტი პოლიტიკა, ბოროტება, მხოლოდ რამდენიმე ადამიანს უკავშირდება – სამ ახალაიას და, სავარაუდოდ, ადეიშვილს," – აღნიშნა მან.

ჯერჯერობით, უცნობია, როდის ჩამოვა დათა ახალაია საქართველოში, ან იქნება თუ არა „ოქროს მოწმე" წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, თუმცა ერთი რამ ადვილი მისახვედრია — თავისი თანამდებობრივი კარიერიდან გამომდინარე, ახალაიების ოჯახს, შესაძლოა, წონადი კომპრომატები ჰქონდეთ „ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ და უარს არ იტყვიან ახალი ხელისუფლებისათვის ამ კომპრომატების „გაზიარებაზე," თუკი ეს მათ მდგომარეობას შეამსუბუქებს. ასე, რომ „კომპრომატების ომი", შესაძლოა, ჯერ კიდევ წინ იყოს.

ცოტნე პაატაშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

რედაქტორი:
ნანული ცხვედიანი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი:
ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

19 აპრილი რუსთაველზე

პრეზიდენტის გამოსვლის დროს მერაბიშვილმა აქცია დატოვა

პირველი გვერდიდან

„ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა" ყველაფერს გააკეთებს, რათა აიძულოს ხელისუფლება, შექმნას სამუშაო ადგილები და, თუ ამას არ გააკეთებენ, თავად მოვა ხელისუფლებაში და გააკეთებს".

„დღევანდელი დღე, 19 აპრილი, უკვე შევიდა საქართველოს ისტორიაში. დღეს თქვენ, აქ მობრძანებით, ისტორიას ჩააბარეთ საფრთხე, რომლის წინაშეც საქართველო იდგა. ამ დღის შემდეგ ვერავინ - ვერც ივანიშვილი, ვერც მისი მინისტრები, ვერც ვლადიმერ პუტინი, ვერ გაბედავს, რომც იოცნებოს, რომ საქართველო ოდესმე დაშორდება ევროპას. ჩვენ დღეს გავიმარჯვეთ!" — განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის" გენერალურმა მდივანმა ტრიბუნიდან და ბიძინა ივანიშვილს მოუწოდა, თავი დაანებოს ნგრევას.

„თავისი დრო, ენერგია და თუ გინდა ფულიც, მოახმაროს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას, თუ უნდა დარჩეს საქართველოს ისტორიაში დადებითად. ამის მცირე, მაგრამ შანსი აქვს, მაგრამ, ჯერჯერობით, რასაც აკეთებს, შანტაჟის, კომპრომატების, ძალადობის ქმნით, შეიძლება, ჩაიწეროს არაპოპულარულ პოლიტიკოსად და არ მიეცეს საშუალება ბოლომდე მიიყვანოს თავისი ვადა," — განაცხადა მერაბიშვილმა.

აქციაზე საპარლამენტო უმცირესობის წევრმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ „ისინი ხელისუფლებას 4 წელი ვერ აცლიან":

„დიახ, ჩვენ ვერ ვაცლით 4 წელი. ძალიან მალე, ერთი წლის განმავლობაში, ჩვენ ორი არჩევნები გველოდება, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის. დღეს ჩვენ ვამბობთ, რომ დაიწყო ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ეს იქნება ყველა ადამიანისთვის, ვინც აღიარებს, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპული ოჯახის წევრი უნდა გახდეს. ნებისმიერ მო ქალაქეს მოვუწოდებთ, ჩაებან იმ ბრძოლაში, რომელიც გველოდება ჩვენი მტრების წინააღმდეგ. ყველაზე მთავარი. „ქართულ ოცნებას" ხელიდან გამოვგლიჯოთ ქვეყანა, რომელიც 1 ოქტომბერს ხელში ჩაიგდეს," — განაცხადა აკაკი ბობოხიძემ.

აქციის მონაწილეებს თბილისის მერმაც მიმართა. „მივმართავ ივანიშვილს და ვეუბნები, რომ საქართველო არის ერთი მთლიანი ქვეყანა და ის ლურჯ და წითელ ფერებად არ უნდა დაიყოს. სწორედ ამ იდეის გარშემო უნდა გავერთიანდეთ და უნდა განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა," — განაცხადა გიგი უგულავამ. მისივე თქმით, ოპოზიციამ უნდა გაუსვას წითელი ხაზები და ხელისუფლებას უთხრას, რომ ეს ხაზები არ უნდა გადაკვეთოს, რადგან ისინი ქვეყნის ინტერესებზე გადის. თბილისის მერი მიიჩნევს: „საქართველო ნომრებად და ფერებად კი არ უნდა დავყოთ, „ნაცებად" და „ქოცებად", ყველამ უნდა მივუთითოთ ერთმანეთს შეცდომებზე და ერთად ავაშენოთ საქართველო."

19 აპრილის აქციამდე მედიაში ხშირად ამბობდნენ, რომ ეს დღე იყო ვანო მერაბიშვილის დღე და არა — სააკაშვილის. ამის გამო, ერთი დეტალი, რასაც ქართულმა მედიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, იყო ის, რომ მიხეილ სააკაშვილის ტრიბუნაზე გამოსვლის დროს ვანო მერაბიშვილმა აქცია დატოვა, თუმცა, საპარლამენტო უმცირესობის წევრების თქმით, ეს არაფერს ნიშნავს.

„აქციაზე პრეზიდენტის მოსვლა არ გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ იმდენი ხალხი როცა მოვიდა, პრეზიდენტიც უნდა მოსულიყო," — განაცხადა ვაშაძემ ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ — თუ რატომ მოვიდა სააკაშვილი აქციაზე, როცა ეს დაანონსებული არ იყო.

„თქვენ ძალიან გაგიღიმათ ბედმა, რადგან ჩვენ დაგიტოვეთ ძალიან მაგარი შენობები, სადაც თქვენ სხედხართ, კომფორტული კაბინეტები, პოლიციის სამსახურები, მაგარი ინფრასტრუქტურა, მაგარი გზები, მილიარდობით ლარი, მათ შორის, იმ პროგრამებისთვის, რომელსაც ახლა ახორციელებთ. მთავარი ბედი არის იმაში, რომ ჩვენი ოპოზიცია მოღალატეობის პოზიციაზე იდგა, იღვიძებდა დილით იმისთვის, თუ როგორ მიყიდვოდა მტერს, როგორ წასულიყო კრემლში, როგორ ჩაებარებინა აღლუმი პუტინთან ერთად. თქვენ კი გყავთ ოპოზიცია, რომელსაც უყვარს ქვეყანა. რომელსაც ზურგზე ახტებოდა უამრავი დამპყრობელი კონდახით, გინებით, მუქარით, მაგრამ ერთხელაც კი ვერ დააჩოქეს. ერთხელაც კი ვერ ათქმევინეს აუგი თავის ქვეყანაზე," — განაცხადა აქციაზე მისულმა მიხეილ სააკაშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის" საორგანიზაციო კომიტეტმა ვერ შეძლო რეალური მომხრეების მობილიზება და 19 აპრილის აქციაზე გაცილებით ნაკლები მხარდამჭერი მიიყვანა, ვიდრე სინამდვილეში ჰყავს. ეს ის პრობლემაა, რაც პარტიაში თუნდაც ორგანიზაციული კუთხით არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ვანო მერაბიშვილმა მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა, იმიტომ, რომ, რასაკვირველია, „ნაციონალურ მოძრაობას" გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე დღეს იყო წარმოდგენილი," — განაცხადა პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია „ჯეპრას" უფროსმა კონსულტანტმა სოსო გალუმაშვილმა და დასძინა, რომ, მისი ვარაუდით, აქციაზე, დაახლოებით, 5-8 ათასი ადამიანი იმყოფებოდა. მისივე თქმით, აღნიშნულის მიზეზი არასწორად დაგეგმილი სარეკლამო კამპანია და აქციის არაზუსტი მესიჯები იყო.

ცოტნე პაატაშვილი

„დნნ... დშნ“-ს სახლს არ თმევენ?

აქვთ თუ არა ყოფილ „ნაციონალებს“ კავშირი უკანონო გარიგებასთან?

ქუთაისში, რუსთაველის გამზირის 75 ნომერში მდებარე სახლი, წლებია, რაც დავის საგანია. ზვიად ამყოლაძე და გიორგი ჯავახაძე სახლთან დაკავშირებით ერთმანეთს სასამართლოში დაუპირისპირდნენ. სახლის ერთ-ერთი მეპატრონე, ზვიად ამყოლაძე, რომელსაც ქართველი ტელემაყურებელი პოპულარული მუსიკალური პროექტიდან „დნნ...დშნ“-ს კოლორიტული სახელით იცნობს, „P.S.“-ის რედაქციას დაუკავშირდა და მისი მემკვიდრეობის გარშემო განხორციელებული პრობლემის შესახებ გვიამბო. მან არაერთი დოკუმენტიც წარმოადგინა.

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

სადავო სახლი რუსთაველის გამზირის №75-ში.

ზვიად ამყოლაძე: „დედისგან დამრჩა სახლი, რომელიც საჯარო რეესტრში ჩემი დიდი ბაბუის — შალვა მოსეს ძე ლოსაბერიძის სახელზეა რეგისტრირებული. იმის გამო, რომ სრულწლოვანი არ ვიყავი, ვერ შევძელი, ზემოთხსენებული სახლი ჩემს სახელზე დამერეგისტრირებინა. 2004 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სრულწლოვანი გავხდი, გადავწყვიტე, სახლი გამეფორმებინა, მაგრამ „უქიმერიონის“ მუნიციპალიტეტის მაშინდელმა თანამშრომელმა კახა ნემსიწვერიძემ არ მომცა ცნობა პირადობის მოწმობის მისაღებად. თუმცა გარდაცვლილი დედის პენსიას ამ მისამართზე ვიღებდი 1995 წლიდან. ასევე იყო 1993 წლის 24ივნისის №228 ცნობა, გაცემული „უქიმერიონის“ მუნიციპალიტეტის მიერ ჩემი ბაბუის სახელზე, რომ ის ცხოვრობდა ამ მისამართზე და მისი ოჯახი შედგებოდა 4 წევრისგან, მათ შორის ერთ-ერთი მე ვიყავი. 2005 წლის 25 ივლისს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ნათესაური კავშირი ჩემსა და შალვა ლოსაბერიძეს შორის. ამის საფუძველზე, 2005 წლის 18 აგვისტოს მივიღე სამკვიდრო მოწმობა. ამის აღების შემდეგ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა, დავით რუხაძემ დამაკისრა მიწისა და ქონების გადასახადი, რომლის გადახდაც არ მეკუთვნოდა.

2006 წლის 18 ივლისს განცხადებით მივმართე საჯარო რეესტრის სააგენტოს, რათა სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მოეხდინა საცხოვრებელი სახლის აღრიცხვა საკუთრების უფლებით ჩემს სახელზე. მაგრამ იმავე წლის 20 ივლისს საჯარო რეესტრის უფროსმა ხათუნა ბურჯანაძემ ჩემს განცხადებაზე უარი მითხრა იმ საფუძვლით, რომ ამავე საცხოვრებელზე დასაკუთრების უფლებით რეგისტრაციას მოითხოვდა მოქალაქე გიორგი ჯავახაძე.

როგორც გავარკვიე, წყალტუბოს რაიონში მცხოვრებმა გიორგი ჯავახაძემ ქუთაისის თვითმმართველობის ტერიტორიული მართვის „უქიმერიონის“ მუნიციპალიტეტის თანამშრომელ კახა ნემსიწვერიძისგან მიიღო ცნობა, თითქოს გიორგი ჯავახაძე ცხოვრობდა ფარნავაზ მეფის პირველ ნომერში და ამ ცნობის საფძველზე მოახდინეს პირადობის მოწმობის აღდგენა. მაგრამ აღნიშნული მისამართი საჯარო რეესტრში არაა რეგისტრირებული. დღევანდელი ოფიციალური მონაცემებით, ქუჩა იწყება ფარნავაზ მეფის 3 ნომრიდან. ჯავახაძემ აღძრა სარჩელი ჩემს წინააღმდეგ. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობიდან გამომდინარე, ის ამბობდა, რომ ფარნავაზ მეფის 1 ნომერს ფლობდა. მეგონა, სასამართლოს ვერ მოატყუებს და არაფერი გაუვა სიმართლესთან-მეთქი, მაგრამ სასამართლომ გამწირა. არ შეამოწმა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ისე დაადასტურა, რომ გიორგი ჯავახაძე ცხოვრობდა აღნიშნულ მისამართზე. აქედან გამომდინარე, მოსამართლეებმა: ანა ღელეყვამ, ირაკლი ლეკვეიშვილმა და თამარ ბურჯანაძემ იგნორირება გაუკეთეს ჩემს კანონიერ მოთხოვნას და, კანონმდებლობის უხეში დარღვევით, სახლის ნაწილი მიაკუთვნეს გიორგი ჯავახაძეს, რომელსაც არასოდეს უცხოვრია ამ მისამართზე და ამის დასადასტურებლად ელემენტარული კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები და ნასყიდობის თანხის გადახდის დოკუმენტებიც კი არ წარმოუდგენია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვითხოვდი, სასამართლოს ადგილზე დათვალიერებით შეესწავლა საკითხი, რაც თვალნათლივ დაანახებდა მოსამართლეს, რომ სახლის ის ნაწილი ამოქოლილი მაქვს, ვინაიდან საცხოვრებლად უვარგისია, მაგრამ მათ იგნორირება გაუკეთეს ჩემს კანონიერ მოთხოვნას.

გაგრძელება **მე-4 გვერდზე**

დევნილთა გრძელვადიანი განსახლება მაისიდან დაიწყება

დევნილთა და განსახლების მინისტრი დავით დარახველიძე იმერეთის რეგიონში დევნილთა განსახლების საპილოტე პროექტის მიმდინარეობას გაეცნო. მინისტრი თავად დაესწრო ანკეტირების პროცესს, რომელიც 19 მარტიდან დაიწყო. საუბარია იმერეთის რეგიონში, კერძოდ – ქუთაისში, წყალტუბოში, სამტრედიასა და ტყიბულში დევნილებისათვის საცხოვრებელი ბინების გადანაწილებაზე.

„P.S.ფოტო“ ©

კრიტერიუმები იგივე ქულების სისტემაა, რომელიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, პრიორიტეტი ენიჭება. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდება დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების განაწილება, იქნება ეს ახლადაშენებული, რეაბილიტირებული შენობები თუ სხვა საცხოვრებელი ბინები და სახლები.

დავით დარახველიძე 16 აპრილს ქუთაისში მცხოვრებ დევნილთა ნაწილს შეხვდა და მათ პრობლემებსა და მოთხოვნებს კიდევ ერთხელ გაეცნო.

ლუდმილა ჟორჟოლიანი, დევნილი: „რა თქმა უნდა, იმედი მომეცა, რომ საცხოვრებელ ფართს მივიღებ. ანკეტირება მიდის ძალიან კარგად. დეტალურად მოწმდება ყველაფერი, რომ არ მოხდეს დარღვევები და ისეთი ხალხი არ წავიდეს ჩვენზე წინ, ვისაც ძალიან არ უჭირს. ანკეტების შევსების მსურველთა დიდი რიგი დგას. ხდება უკმაყოფილებები, მაგრამ აქ მომუშავე პერსონალი ყველას გვეხმარება ანკეტის შევსებისას. პირადად მე კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, თუ პირველ რიგში არა, მართლა ვისაც ძალიან უჭირს, მას შემდეგ მაინც მივიღებ ფართს.“

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, იმერეთის რეგიონში მცხოვრები დევნილებისათვის საცხოვრებელი ბინების განაწილება მაისიდან დაიწყება, იქამდე კი ანკეტები შეივსება. 12 აპრილის მდგომარეობით, სამინისტროში 799 დევნილის განაცხადია შესული. რაც შეეხება თავად დოკუმენტს, განსახლების კრიტერიუმებს, მის შექმნაში მონაწილეობდნენ: საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დევნილთა სამინისტროს სპეციალისტები და დევნილთა საკითხებთან დაკავშირებული სხვა სამინისტროების წარმომადგენლები. თუმცა, ანკეტებში არსებულმა რიგმა კითხვებმა დევნილების უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ისინი აცხადებდნენ, მსგავსი სახის კითხვები მათთვის დამამცირებელია, რაზეც დავით დარახველიძემ აღნიშნა, რომ ეს პროექტი საპილოტე პროექტია, რომლის დახვწაც მიმდინარეობს, თუმცა უხერხული შეკითხვები იმიტომ არის, რომ დევნილების შესახებ ზუსტი ინფორმაცია შეაგროვონ.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა ცოტნე დადიანის სამ ნომერში (ყოფილი პოლიციის შენობა) მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა. აღნიშნულ მისამართზე მოპირკეთებულ საცხოვრებელ ფართს და პირველადი დანიშნულების საოჯახო ტექნიკას 20 ოჯახი მიიღებს.

„ჩვენს ინტერესს წარმოადგენს განსახლების პროექტის თვალყურის მიდევნება, რისთვისაც სამინისტროს წარმომადგენლები ორი დღით ვიმყოფებით დასავლეთ საქართველოში. თითქმის ერთი თვეა, რაც ეს პროცესი დაიწყო ამ რეგიონში. გარდა ამ შენობისა, სამტრედიის რეგიონში გვაქვს ერთიობიექტი, 84 ოჯახზე გათვლილი. ასევე წყალტუბოსა და ტყიბულში რამდენიმე ათეული ოჯახისათვის. სამწუხაროა, რომ ჩვენს მიერ შერჩეული რაოდენობა საცხოვრებლებისა მნიშვნელოვნად ჩამორჩება არსებულ მოთხოვნას. მაგრამ მე მინდა დავამშვიდო დევნილები, მათ განაცხადების განმეორებით შევსება აღარ მოუწევთ. შემდეგი ობიექტების განაწილების დროს პირდაპირ მიიღებენ საცხოვრებელ ფართებს. მეორე ეტაპზე ქუთაისში ფართები იქნება ჭავჭავაძის გამზირზე და ნიკეას ქუჩაზე შერჩეულ ობიექტებში, რადგან ქუთაისი და წყალტუბო არის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილები.“ - განაცხადა დევნილთა და განსახლების მინისტრმა **დავით დარახველიძემ.**

***

დევნილთა და განსახლების მინისტრის ორდღიანი ვიზიტი ქუთაისში ხმაურიანი აღმოჩნდა. დავით დარახველიძემ თბილისისა და გორის შემდეგ, ქუთაისში, ავტოქარხნის დასახლებაში, ყოფილი „ცეკავშირის“ შენობაში დევნილებისათვის განკუთვნილი საოჯახო ტექნიკა აღმოაჩინა. საწყობში, საოჯახო ტექნიკასთან ერთად, ასევე ჩაი და შოკოლადი ინახებოდა.

როგორც დავით დარახველიძე ამბობს, საწყობში აღმოჩენილი ტექნიკა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა, მინისტრის თქმით, მისთვის უცნობია, ვის ან რას უნახავდნენ აღნიშნულ ნივთებს: „2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მთავრობამ დევნილთა სამინისტროს 16 მილიონი ლარი გამოუყო. ამ თანხით უწყებამ საოჯახო ტექნიკა შეიძინა და ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურს ჩააბარა. ჩვენს ქვეყანაში დღესაც არიან დევნილი ოჯახები, რომლებსაც ელემენტარული ტექნიკა არ გააჩნიათ. ასე რომ, საწყობში აღმოჩენილ ტექნიკას სწორედ მათ დავურიგებთ,“ — ამბობს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დავით დარახველიძე.

„ცეკავშირის“ ადმინისტრაციაში აღმოჩენილ ტექნიკაზე პასუხისმგებლობას ქუთაისის მერიას აკისრებენ. მერიის საბინაო სამსახურის უფროსის, კახა ხვარეშიას განცხადებით, 2009 წლის დასაწყისში, ქუთაისში 230 დევნილი ოჯახი ჩამოსახლდა. ხოლო სამინისტროს ინფორმაციით, ქალაქში 250 ოჯახი უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმის გამო, რომ 30 ოჯახი მალევე გადავიდა თბილისში საცხოვრებლად, დარჩენილი ნივთები დაასაწყობეს და შეინახეს.

დევნილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, აღმოჩენილ ტექნიკასთან დაკავშირებით გამოძიება მალე დაიწყება.

ნესტან ჩაგელიშვილი

„დნნ...დშნ"-ს სახლს ართმევენ?

აქვთ თუ არა ყოფილ „ნაციონალებს" კავშირი უკანონო გარიგებასთან?

მე-3 გვერდიდან

მოსარჩელე აპელირებდა 1935 წლის 30 მაისის ნასყიდობის პირობაზე, რომელიც არ არის იურიდიული ძალის. რადგან ამ დოკუმენტებზე მითითებულ რეკვიზიტებში ხელს არ აწერს არც ჯავახაძე და არც სხვა დამსწრე პირი. ასეც რომ იყოს, გარიგება ითვლება პირობით დადებულად, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო ან უცნობ მოვლენებზე იმით, რომ გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ან გარიგების შეწყვეტა — ამ მოვლენის დადგომისთანავე, ასეთ გარიგებაზე კი ჯავახაძე არაფრით არ მისცემდა თანხმობას ბაბუაჩემს, რადგან, ბინა თუ ჰქონდა, ან ყიდულობდა, რა რჯიდა, რომ გადასახადი გადაეხადა და ეს არ დაედასტურებინა სანოტარო წესით?

იმ დოკუმენტს, რაც წარმოადგინეს, უნდა ჩატარებოდა კალიგრაფიული ექსპერტიზა და ასევე ექსპერტიზა — სიძველის დასადგენად, რაც დაამტკიცებდა, რომ საქმე გვქონდა თაღლითობასთან! მაგრამ სასამართლომ ეს დოკუმენტი საკმარისად ჩათვალა და მოსამართლე თამარ ბურჯანაძემ 2010 წლის 13 აგვისტოს მიიღო სამარცხვინო გადაწყვეტილება. რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსამართლეს არც კი წაუკითხავს საქმის მასალები, იმდენად არის შეძრული ჯავახაძის დახმარების წყურვილით და მისი თანადგომით. მან გადაწყვეტილება ააგო მხოლოდ და მხოლოდ უსამართლობაზე. მოსამართლე ყველა მხრივ მიკერძოებული იყო, რადგან არ იქნა ჩემს მიერ წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება განხილული. ასევე, მხოლოდ მოსამართლე კი არ იყო დაინტერესებული ჩემთვის ქონების ჩამორთმევით, არამედ — საქმეზე სხდომების უცვლელი მდივანი ხათუნა უჩაძეც, რომელმაც არაერთხელ შეატყობინა მოსარჩელეს სხვადასხვა გარემოების შესახებ, იმ დროს, როდესაც ეს მისი მოვალეობა არ არის, ხოლო აგრესიას ჩვენს მიმართ არასდროს მალავდა.

არაერთ ინსტანციას და უწყებას ვთხოვე დახმარება, საჩივრით მივმართე მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს და იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს. იმედი მაქვს, რომ ამ დროში მაინც ვიპოვი სიმართლეს და სახლის კუთვნილ ნაწილს დავიბრუნებ, საიდან გამოსახლებითაც მემუქრებიან."

გიული ლოლომაძე კი, რომელიც ზვიად ამყოლაძის მამამობილს უწოდებს თავს და რომელიც აღნიშნულ სახლში ზვიად ამყოლაძესთან ერთად ცხოვრობს, აცხადებს, რომ ჯავახაძეებს ამ მისამართზე, როგორც საკუთარ სახლში, არასოდეს უცხოვრიათ. წლების წინ ჯავახაძეები მდგმურად შესახლდნენ ზვიადის ბაბუას სახლში, შემდეგ კი, როდესაც სახლის ერთ-ერთი მფლობელი დაობლდა, ჯავახაძეები შეეცადნენ, მისი მარტოობით ესარგებლათ და სახლის ნაწილს დაპატრონებოდნენ. მისივე განცხადებით, ამ საქმის ჯავახაძეების სასარგებლოდ მოგვარებაში დიდი წვლილი მიუძღვის კახა ნემსიწვერიძეს, რომელიც 2006 წელს „უქიმერიონის" მუნიციპალიტეტში მუშაობდა და რომელმაც კანონდარღვევით ჩაწერა ჯავახაძე არარსებულ მისამართზე (ფარნავაზ მეფის 1 ნომერი). პირადობის მისაღებად მისულ სრულწლოვან ზვიად ამყოლაძეს კი უარი უთხრა, რის გამოც ამყოლაძე წყალტუბოში, მამის დანატოვარ სახლში ჩაეწერა. გიული ლოლომაძე აღნიშნავს, რომ ქალაქში მსგავსი სხვა ფაქტები, როდესაც გარკვეული თანამდებობის პირები იმ სახლებს, რომელთაც პატრონი არ ჰყავდა, ან თუ ჰყავდა — ხანდაზმული, ან მცირეწლოვანი და დახმარებას არავინ აღმოუჩენდა, უკანონო გზით ასხვისებდნენ. როგორც ჩემმა რესპონდენტმა აღნიშნა, მაგალითად, მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ქუთაისში, სარაჯიშვილის №25-ში, როდესაც მარტოხელა მოხუცებული ქალის სახლი სხვას მიაკუთვნეს.

იმის დასადგენად, მართლა ცხოვრობდნენ თუ არა ჯავახაძეები რუსთაველის 75 ნომერში, ზვიად ამყოლაძის მეზობლებს გავესაუბრე.

ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელმაც მიზეზთა გამო ვინაობა არ დაგვსახელა, უკმაყოფილება არ დამალა და ბრალი თავად ზვიად ამყოლაძეს წაუყენა, უშვერი სიტყვებითაც მოიხსენია და აღნიშნა, რომ ჯავახაძეები ამ მისამართზე წლები ცხოვრობდნენ, ამყოლაძე და მისი მამობილი კი თავად არიან მტაცებლები და მესაკუთრეს სახლი ჩაუკეტეს. მან ისიც აღნიშნა, რომ წლების წინ ზვიადს პატრონობდა და ეხმარებოდა, ახლა კი ზვიად ამყოლაძე, როგორც მეზობელი, მისთვის მკვდარია. მისი თქმით, დაპირისპირების მიზეზი აღნიშნულ მისამართთან დაკავშირებით ჩატარებული სასამართლო პროცესია, სადაც მან, მეზობელმა, №75-ში ჯავახაძეების ცხოვრება დაადასტურა, ამან ამყოლაძის გაბრაზება გამოიწვია, რასაც მეზობლებს შორის დაპირისპირება მოჰყვა.

გიული ლოლომაძე აცხადებს, რომ აღნიშნულ მეზობელსა და ჯავახაძეებს შორის ნათესავური კავშირი იკვეთება, რაც მათი დაინტერესების მიზეზს ნათელს ხდის.

მეორე მეზობელი, **ნათელა კუხიანიძე** კი ამბობს, რომ ის ამ უბანში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ ჯავახაძეების იქ ცხოვრების შესახებ არასოდეს გაუგია. ასევე აცხადებს, რომ იმ სახლში ყოველთვის დალი ლოსაბერიძე (ზვიად ამყოლაძის დედა) ცხოვრობდა და სახლიც ყოველთვის ერთ ოჯახს ეკუთვნოდა, სხვა ინფორმაცია მას არ აქვს.

საქმეში უკეთ გასარკვევად **გიორგი ჯავახაძეს** დავუკავშირდით და კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ. მან დღის ბოლოსათვის დაგეგმილი ჩვენი შეხვედრა მოგვიანებით გააუქმა. მიზეზად თქვა, რომ სოფელში იმყოფებოდა და შეხვედრას ვერ შეძლებდა. სატელეფონო საუბარში კი აღნიშნა:

„რა პრობლემაა ამ მიწასთან დაკავშირებით? ის ჩემი ოჯახისაა 1935 წლიდან. მამაჩემმა შეიძინა შალვა ლოსაბერიძისგან. რა უნდათ ამყოლაძეს და მის მამობილს, თუ ვიღაცაა, რვა წელია, ხომ შემაღონეს! ამ საკითხზე სასამართლოს დასკვნა არსებობს, რითაც ყველაფერია გარკვეული.

— თქვენი მოსარჩელე ამბობს, რომ სასამართლოზე თაღლითობას ჰქონდა ადგილი, რის გამოც მისი კუთვნილი მიწა თქვენ მოგცეს. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

— რა თაღლითობა? თაღლითები ეგენი თვითონ არიან, მე მაგ სახლში ვცხოვრობდი და ყველანაირი დოკუმენტი მაქვს, სადავო კი არაფერია, თავი დამანებონ.

***

სახლის ის ნაწილი, რომელიც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიორგი ჯავახაძეს მიეკუთვნა, ამ დროისათვის ამორტიზებულია და მასში ცხოვრება შეუძლებელია.

მართლა მოხდა თუ არა 2006 წელს „უქიმერიონის" თანამშრომლის, აწ უკვე ყოფილი „ნაციონალის" მიერ კანონდარღვევა და რატომ სდებს მას ბრალს ზვიად ამყოლაძე, ამის დასადგენად კახა ნემსიწვერიძეს მივმართეთ. მან მომჩივანი სახელით და გვარით ვერ გაიხსენა, მაგრამ „დნნ... დშნ..."-ს ხსენებისას უმალვე მიხვდა, ვიზეც იყო საუბარი:

„უი, მაგაზე ამბობთ? როგორ არ ვიცნობ, სახლშიც ვარ მაგასთან ნამყოფი, ბიბლიოთეკაში მიგვიწვია ერთხელ, რატომ არ მივცემდი ცნობას, მით უმეტეს, რომ ყოველთვის ვეხმარებოდით. იმდენი დროა გასული, ვერ ვიხსენებ მაგ საქმეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კანონიერად მოხდა. თუკი ზვიად ამყოლაძე იმ მისამართზე ცხოვრობდა, რატომ შევუშლიდით ხელს აღნიშნულ მისამართზე ჩაწერაში? პირიქით, ყოველთვის ვუწევდით დახმარებას. სხვა, გასული ხანგრძლივი დროის გამო, არც კი ვიცი, რა გითხრათ," — აღნიშნა **კახა ნემსიწვერიძემ.**

თუმცა, კახა ნემსიწვერიძის განცხადების საპირისპიროდ — თითქოსდა, ადგილობრივი მთავრობა ყოველთვის უწევდა დახმარებას ზვიად ამყოლაძეს, მისი მამობილი გიული ლოლომაძე აცხადებს, რომ მთავრობას არასოდეს აღმოუჩენია დახმარება, პირიქით — ქალაქის ყოფილი მერის, გია თევდორაძის წყალობით, ზვიად ამყოლაძეს კუთვნილი 400-ლარიანი დახმარებაც კი არ მიუღია.

ნესტან ჩაგელიშვილი

დოკუმენტური ფილმების ფესტივალი თერჯოლაში

11 და 12 აპრილს ჩეხური ორგანიზაციის — „ადამიანი გაჭირვებაში" — პროექტში „სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების და მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა დასავლეთ საქართველოს რაიონებში" ჩართულმა ქუთაისელმა და ტყიბულელმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს დოკუმენტური ფილმების ფესტივალში, რომელიც ქალაქ თერჯოლაში გაიმართა.

პირველ დღეს ოცზე მეტი ახალგაზრდა ტყიბულიდან სპეციალურად ჩამოვიდა ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. მათ გულითადად შეეგება ფესტივალის ორგანიზატორი, ქალბატონი რუსუდან კოვზირიძე, რომელმაც ისინი დარბაზში მიიწვია. 150 კაცზე გათვლილი დარბაზი ორივე დღეს სავსე იყო, ძირითადად, ახალგაზრდებით და მოზარდებით.

11 აპრილს უჩვენეს ორი ფილმი: „კაპიტალიზმი – ჩვენი საიდუმლო რეცეპტი" და „კატასტროფის რეცეპტი". პირველი წარმოადგენდა ერთგვარ კოქტეილს, რომელიც შედგებოდა რეპორტაჟებისაგან რუმინელი ოლიგარქების შესახებ, დიდი ქარხნების კადრებისაგან, საინფორმაციო გამოშვებების კადრებისა და ანიმაციურად გაფორმებული იუმორისტული ჩანართებისაგან. ყოველივე ამას თან ახლდა რეჟისორის ირონიული კომენტარები. მეორე ფილმი „კატასტროფის რეცეპტი" ეძღვნებოდა გლობალურ დათბობასა და ბუნებრივი რესურსების გამოლევასთან დაკავშირებულ პრობლემებს რიგითი ფინური ოჯახის ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ ფილმები საკმაოდ სერიოზულ საკითხებს ეხებოდა, მათ ბავშვების დიდი დაინტერესება გამოიწვიეს და ფილმების ჩვენების შემდეგ გამართული დისკუსიაც აქტიური იყო, რასაც ხელს უწყობდა კვალიფიციური ფასილიტაცია.

12 აპრილს ნაჩვენები იქნა თბილისის ახალგაზრდული ეროვნული სასახლის ფილმების კლუბის ნამუშევრები. აღნიშნულმა ფილმებმა ბავშვების განსაკუთრებული გააქტიურება გამოიწვია, ვინაიდან მათ მიერვე იყო გადაღებული მათთვის ახლო და გასაგებ საკითხებზე, რომლებიც რეალურად აღელვებს ახალგაზრდებს. დარბაზში დიდი ხალისი გამოიწვია კადრებმა ყმაწვილების შესახებ, რომლებიც საზოგადოებრივ ბაღში სკამზე ისხდნენ და არ ჩქარობდნენ ადგილის დათმობას ფეხზე მდგარი მოხუცი ქალბატონისათვის. როდესაც მიმზიდველმა ახალგაზრდა გოგონამ ეშმაკობით გაათავისუფლებინა მათ ადგილი და ქალბატონს დაუთმო, სიცილთან ერთად დარბაზი ოდნავ შეფიქრიანდა – ასეთი სურათები არცთუ იშვიათია ჩვენს ყოველდღიურობაში.

ფილმების ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც თითქმის ყველა დამსწრე ცდილობდა, გამოეხატა თავისი აზრი, რაც დასტურია იმისა, რომ გულგრილი არავინ დარჩენილა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ორგანიზაციის მოხალისეები: მონიკა ჯავახაძე და ვიოლა მარდალეიშვილი, ასევე კალენიკე აბესაძე. ბავშვები ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ ღონისძიებით, ბევრი მათგანისთვის ეს იყო პირველი გამოცდილება მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობისა. მათი დიდი სურვილია, ასეთი შეხვედრები ხშირად ჩატარდეს, რაც საშუალებას მისცემს, ბევრი ახალი გაიგონ, გაუზიარონ ერთმანეთს აზრები და განვითარდნენ.

CZECH REPUBLIC DEVELOPMENT COOPERATION

EUROEAST CULTURE

PEOPLE IN NEED CZECH REPUBLIC

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ელვარება და უფერულობა

ბაგრატის ტაძარი და ახალციხის კომპლექსი თავის დროზე წარმოადგენდნენ მშვენიერების თაყვანისცემასთან რელიგიური გრძნობის შერწყმის გამოხატულებას. გარეგნულად რა ეფექტურადაც არ უნდა გამოიყურებოდნენ ისინი, ჯერჯერობით, შეუძლებელი აღმოჩნდა ერთიანი შეთანხმების მიღწევა ამ რომელიმე აღდგენილ ძეგლთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი აზრის განსხვავებულობა ცხადჰყოფს, თუ რაოდენ რთულია ორიგინალის გათანაბრება დღევანდელთან.



ფოტო: დათო მირზაშვილი ©

საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკის თანახმად, ნებისმიერი ძეგლის აღდგენა ხდება მხოლოდ და მხოლოდ დედნისეული სიზუსტით, ყოველგვარი „მაკიაჟის" გარეშე: მსოფლიოში პირველი — დიოზერის საფეხუროვანი პირამიდის შელამაზების მცდელობაც კი არ დაუპირებია არავის; რესტავრატორი უნდა სწვდებოდეს ძეგლის ავტორის პირვანდელ მდგომარეობას და მოახდინოს შემოქმედებითი პროცესის რეპროდუქცია, აღადგინოს გზა ჩანასახიდან მთლიანობამდე; რეპროდუქციის პროცესმა უნდა იმოძრაოს ნაწილიდან მთელისკენ და მთელიდან ნაწილისკენ.

აფრიკელი თეოლოგისა და ფილოსოფოსის — ნეტარი ავგუსტინეს აზრით, მშვენიერია ის, რაც ჰარმონიაშია მსოფლიო წესრიგთან. მან სილამაზე განსაზღვრა, როგორც ნაწილების პროპორციულობის შეთანხმება ფერის სიამოვნებასთან. მისი რწმენით, წრეწირი, იამბები, ოქტავები, ქანდაკებანი და სიმეტრიული ფანჯრები ბაძავენ ღვთიურ ფორმას. რასაკვირველია, ეს დებულება ტაძრებსაც ეხება. ამიტომ ლოგიკურად იბადება კითხვა: ავრელიუს ავგუსტინეს ესთეტიკური პრინციპებიდან გამომდინარე, მოთხოვნები ხომ არ ირღვევა მოდერნიზებული ბაგრატის ტაძრის მეტამორფოზის შედეგად? მეტამორფოზასაც გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარსაც რამდენიმეჯერ რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, მაინც განსაცვიფრებელი პროპორციულობა და მთლიანობა შეუნარჩუნდა. მაშასადამე, ღვთიური ფორმის ბაძვის ნიშანდობლიობა არ დაუკარგავს, რადგან მოდერნიზმის ფუძემდებელ ფრანგებს მისი მოდერნიზაცია როდი მოუნდომებიათ.

მემატიანე რაულ გლაბერი მოგვითხრობს, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ხელოვნების დარგებიდან არქიტექტურა დომინირებდა. მისი ცნობით, მეათასე წლის მახლობელ ხანაში, რაც, სხვათა შორის, ბაგრატის ტაძრის აშენების დროს ემთხვევა, ყველა ქრისტიანი ერი, განსაკუთრებით — იტალიასა და საფრანგეთში, აღმშენებლობის წყურვილით იყო შეპყრობილი. ეს მომენტი ამტკიცებს მავანთა აზრს იმის შესახებ, რომ ბერძნული და ახალი ევროპული ხელოვნების სათავეში, ტაძრის სახით, თავდაპირველად არქიტექტურა დგას.

კონ-ვინერისგან დადგენილი ტექტონური და დეკორაციული სტილი არქიტექტურასა და გამოყენებით ხელოვნებაში მუდამ ენაცვლება ერთმანეთს. აქ იმალება „ხელოვნების ისტორიის კანონი, რომელიც კაცობრიობის ისტორიის კანონში გადადის." მ. გინზბურგის მიერ კი გამორჩეულია არქიტექტურული სტილის სამი ტიპი — კონსტრუქციული, ორგანული და დეკორაციული. კონსტრუქციული წარმოშობილია პრაქტიკული მიზანშეწონილობით, ორგანული წარმოადგენს მიზანშეწონილობისა და სამკაულის ჰარმონიულ შეფარდებას, ხოლო დეკორაციული გამოხატავს სამკაულის გამარჯვებას მიზანშეწონილობაზე. თითოეული სტილი გაივლის სამ საფეხურს, რომელნიც მოასწავებენ ამა თუ იმ მხატვრულ-არქიტექტონიკური ფორმაციის ახალგაზრდობას, სიმწიფეს და დამხობას.

ვფიქრობ, ამ თეორიის გაზიარება ზედმეტი არ იქნება რომელიმე ძეგლის შესახებ მსჯელობისას. სანიმუშოდ ავიღოთ, თუნდაც, ახალციხის კომპლექსი. აქცენტი მახვილდება ოქროსფრად შეღებილ საკულტო ნაგებობის გუმბათზე. ისტორიის გარიჟრაჟიდან გამოყენებული ფერების შესახებ არსებულ მოძღვრებას თუ არ ჩავუღრმავდებით, შეიძლება უფრო მოკლე ინფორმაციის გახმიანება: ზოგიერთ ეპოქაში მხატვრები ერთ საღებავს იყენებდნენ, ჟამ და ჟამ კი — სხვას. მაგრამ თვით ერთი და იმავე ქვეყნის საზღვრებში ფერადობრივი დამუშავება იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორი შენობებისთვისაა განკუთვნილი ესა თუ ის საღებავი.

მოგვურ-მონარქიული საზოგადოებრივი ფორმაციებიდან ვარაყის ანუ ოქროსფერის სიყვარული ბუნებრივად გადადის დასავლეთ ევროპის აბსოლუტური მონარქიის ხელოვნებაშიც. ლუი XIV საყვარელი ფერი ვარაყი იყო. ახალციხის საკულტო ნაგებობაშიც სჭარბობს ყვითელი ფონი, ე.ი. შერბილებული ვარაყი, რაც ეთანხმიერება „ნაცური" აბსოლუტიზმის მწუხრს. ცხადია, ასეთ ვითარებაში გუმბათმა თავდაპირველი ფერთა შეხამება უნდა დაიბრუნოს. ხელოვნების კანონების იგნორირება მომღერალი შადრევნების ხვედრს ინაწილებს. აქ კი მეხსიერებაში ძალაუნებურად ამოტივტივდება იულიანე განდგომილისადმი დელფოს ორაკულის პასუხი, რომელიც მან იმპერატორის დესპანს ლექსის ფორმით. გადმოსცა: „ამცნე ხელმწიფეს, დაეცა-თქო ტურფა დარბაზი, /ფებუსს აღარ აქვს სამყოფლო და წინათქმის დაფნა,/ დაშრა მეტყველი შადრევანი /დაიშრიტა წყარო ზრახვისა./"

ამრიგად, განსხვავებულ შეხედულებათა ურთიერთშეჯახების წერტილი ის საზღვარია, რომლის იქით ვეღარ აღწევს ნიჰილისტური კრიტიკა და ფართო გზას უტოვებს ჯანსაღი აზრის სრბოლას. აქედან გამომდინარე, ძეგლების პრობლემა პოლიტიკის კი არა, ხელოვნების კანონების საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

ნუგზარ გულიორდავა

არც ისე იოლია, ქართულ საბანკო სექტორს უწოდო პროგრესული...

რა ხდება ქართულ საბანკო ბაზარზე; რატომ იფუთება სამომხმარებლო პაკეტები ისე, რომ მოგებული კლიენტი კი არა, საფინანსო ორგანიზაციები რჩება; რაზე უნდა დაფიქრდეს პოტენციური კლიენტი?

ამ და სხვა თემებზე ჩვენი გაზეთის მკითხველს ესაუბრება ანდრო ჭილაია, Ph.D. მარკეტინგის და ბრენდინგის კონსულტანტი.

ანდრო ჭილაია

— ბატონო ანდრო, ქართული საბანკო სექტორი, ძირითადად, რით განსხვავდება დასავლურისაგან?

— განსხვავები ნამდვილად არის, თანაც საგრძნობი. კლიენტთან მიმართებით დავიწყებ — როგორც რიგით მოქალაქესთან მიმართებაში (ფიზიკური პირი), ასევე ორგანიზაციასთან დაკავშირებით (იურიდიული პირი). საქართველოში არც კი განიხილება იმის ალბათობა, რომ ფიზიკური პირისთვის მოხდეს საკრედიტო ხაზის გახსნა. არც იურიდიულ პირებზე წუხდებიან დიდად (გამონაკლისის სახით, მოთხოვნილ თანხაზე მინიმუმ 150-200%-ით მეტი ღირებულების ლიკვიდური ქონება იდება უზრუნველსაყოფად). საკრედიტო ხაზის პლუსი ის გახლავთ, რომ კლიენტს ერთხელ უმტკიცდება მის მიერ მოთხოვნილი თანხა (თუ გონივრულია და ბანკისთვის დიდ რისკებთან არ არის დაკავშირებული), შემდგომ კი ის ამ თანხას განკარგავს მისი საჭიროების მიხედვით, ანუ შეუძლია, არ გამოიყენოს რამდენიმე თვე და შემდგომ აითვისოს მთლიანად, ან ნაწილი და პროცენტის დარიცხვა იწყება მხოლოდ ათვისების შემდეგ.

აქვე მინდა დავძინო, რომ ზოგიერთი ბანკი სერვისკუთხით უახლოვდება დასავლურ სტანდარტებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ შემიძლია მხოლოდ ორი ბანკი გამოვყო: ს.ს. „საქართველოს ბანკი" და „ბაზის ბანკი".

— შეიმჩნევა თუ არა პროგრესი ქართულ საბანკო მომსახურებაში?

— გააჩნია, რა კუთხით განვიხილავთ. პროგრესს ვერ დავარქმევ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა პროცენტად და პირობებით აქვთ წამყვან ბანკებს საკრედიტო ხაზები გახსნილი სხვადასხვა ფინანსურ სტრუქტურებში (EBRD, DB, ბრიტანული და სხვა წვრილ-წვრილი ფონდებიდან). დავიწყებ იმით, რომ რადგან საქართველო განიხილება როგორც ე.წ. განვითარებადი ქვეყანა, საკრედიტო ხაზის ფასი ძვირია, დაახლოებით 8-10%, ამას ემატება ის ფაქტორიც, რომ მხოლოდ საკრედიტო ხაზის გახსნით არ იფარგლებიან, ანუ, გარდა პროცენტისა, რომელსაც იღებენ იმ თანხაში, რაც გაასესხეს, ასევე იღებენ დივიდენდსაც. ასეთ ვითარებაში არც ისე იოლია, ქართულ საბანკო სექტორს უწოდო პროგრესული, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ სხვა დარგებთან შედარებით, ბევრად უფრო კარგი მდგომარეობაა.

— ამბობენ, რომ ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე საბანკო სერვისის ნიშა ათვისებულია, შესაძლებელია კიდევ ახალი მოთამაშეების გამოჩენა?

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია. პირიქით, უკეთესიც კი იქნება, თუ ისეთი მოთამაშე შემოვა ბაზარზე, რომელიც შეძლებს ჯანსაღი კონკურენციის გაწევას და ამ დახშული წრის გარღვევას, რათა ვითარების გაჯანსაღებას შეუწყოს ხელი. მე მხოლოდ მივესალმებ, თუ ასეთი ბანკი შემოვა ქართულ ბაზარზე. ახალი მოთამაშის გამოჩენა ორმაგად კარგი იქნება, რადგან, ერთის მხრივ, გამოაცოცხლებს ბანკებს და შეეცდებიან, კლიენტი უფრო დაინტერესონ სხვადასხვა ბონუსით თუ წახალისების სხვა ფორმით, შეინარჩუნონ კლიენტი და მეორეს მხრივ, პროცენტებიც, შესაძლოა, შეამცირდეს (თუ სახსრები იაფად ექნება მოზიდული). ორივე შემთხვევაში, კლიენტი რჩება მოგებული. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ ქართულ საბანკო ბაზარზე წამყვან უცხოურ ბანკებს შემოსვლის სურვილი გაუჩნდებათ, გასვლის ნაცვლად.

— როგორც ბრენდინგის სპეციალისტი, საბანკო პროდუქტებიდან რომელს გამოარჩევდით თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით? ანუ რომელია სამომხმარებლო თვალსაზრისით კარგი და ცუდი?

— საკრედიტო ბარათების მაგალითზე რომ განვიხილოთ, ისევ ზემოთხსებულ ბანკების ბარათებს და „ვითიბი" ბანკის ბარათსაც შევადარებ; იგულისხმება — „ამერიკან ექსპრესი", „მეგობარათი" და „ვითიბი" საკრედითო ბარათი. ამ ბარათებიდან „ამერიკან ექსპრესს" საკმაოდ სერიოზული სახსრები აქვს დახარჯული ე.წ. PR-ზე (თუმცა უფრო ეფექტურადაც შეიძლებოდა გამოყოფილი სარეკლამო ბიუჯეტის ათვისება). აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ამერიკან ექსპრესის" PR-ზე გაწეულ ხარჯებს სრულად ფარავს „ამერიკან ექსპრესის" სათაო ოფისი და „საქართველოს ბანკი" მხოლოდ შემსრულებლის როლშია, ხოლო „მეგობარათის" დანახარჯები იმავე PR-ზე რამდენჯერმე ნაკლებია, „ვითიბის" საკრედითო ბარათს კი არც გაუკეთებია თავისი პროდუქტის PR, თუმცა, თუ ამ ბარათების მომხმარებლის რაოდენობით ვიმსჯელებთ, შედეგი პრაქტიკულად ინდენტურია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ? თუ წმინდა ფინანსურად შევხედავთ, დიდი ბიუჯეტი არ არის პირდაპირპროპორციული დიდი შედეგის, ანუ მეტი მომხმარებლის მოზიდვის. ყველა ბანკს აქვს მარკეტინგის და პროდუქტის განვითარების განყოფილება, სწორედ მათ ეფექტურ მუშაობაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ პროდუქტის კარგი წარდგენა და გაყიდვა (თუმცა მხოლოდ ერთეულ ბანკებში თუ მუშაობს ეს განყოფილება მეტ-ნაკლებად ეფექტურად).

— ძალიან ხშირად მსმენია, რომ ბანკის (ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის) კლიენტი დარჩა მოტყუებული. ამბობენ, რომ სამომხმარებლო პაკეტები იფუთება ისე, რომ მოგება რჩება საფინანსო ორგანიზაციებს, წაგებული რჩება მომხმარებელი. რას ურჩევდით მომხმარებელს?

— თავისთავად, როცა ბანკს აქვს ბევრი პროდუქტი თუ სერვისი (თან იმ ფონზე, რომ მან კონკურენცია უნდა გაუწიოს სხვა ბანკებს), ის ყოველთვის შეეცდება მის წარდგენას ისე, რომ კლიენტმა იფიქროს: ეს პროდუქტი არის ზუსტად ის, რაც მას სჭირდება და თანაც — დაუყოვნებლივ. აქ პოტენციური კლიენტი უნდა დაფიქრდეს... შეიძლება ბანკი მხოლოდ ჩემთვის მომგებიან პროდუქტს მთავაზობდეს? თუ — კი, რატომ? როცა ყველაფერი ასე „ლამაზად" გამოიყურება, მომხმარებელს ვურჩევ, იმის მაგივრად რომ ყველა საბუთს დაუყონებლივ ხელი მოაწეროს და ეგრევე შეიძინოს ესა თუ ის პროდუქტი ან სერვისი, დეტალურად გამოკითხოს ბანკის თანამშრომლები, განსაკუთრებით — პროდუქტის ნეგატიურ მხარეზე. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბანკის თანამშრომელი ვადებულია, უპასუხოს ყველა თქვენს კითხვას.

როლანდ ხოჯანაშვილი

მეგა კრედიტი

Mega Credit

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას:

- უჯარიმო, სალომბარდო სესხები ოქროს უზრუნველყოფით 2,5%-დან
- იპოთეკური სესხები
- ფულადი გზავნილები
- სავალუტო ოპერაციები

ასევე თქვენ გაქვთ საშუალება, განათავსოთ თქვენი ფულადი სახსრები დეპოზიტის სახით, რომელზეც დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი.

„მეგა კრედიტის" ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ფილიალში დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ „ლიბერთი ბანკის" მომსახურებით.

ქუთაისი, რუსთაველის 141 („ჰოჰულში"); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან"); (0 431) 27 67 10

თანაგრძნობა

რომან ორაგველიძესა და ჩვენი გაზეთის ოპერატორს, ლალი კუპრაშვილს თანავუგრძნობთ დედისა და დედამთილის, **მერი საყვარელიძე-ორაგველიძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „P.S."-ის რედაქცია

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კოლექტივი თანაუგრძნობს მუზეუმის თანამშრომელს, პაატა ჯაფარიძეს — მამის, **გიორგი ჯაფარიძის** გარდაცვალების გამო.

შეღავათიანი აგროკრედიტით „ვაზიანი კომპანი"-მ 300 ათასი აშშ დოლა-

ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ „ვაზიანი კომპანი"-ს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში „ვითიბი ბანკმა" 600 ათასი აშშ დოლარის აგროკრედიტი დაუმტკიცა. ეს მაქსიმალური თანხაა, რომლის მიღებაც ბიზნესსექტორს პროექტით შეუძლია.

გიორგი ჩხეიძე

„ვითიბი ბანკმა" სესხი 15 პროცენტში დაამტკიცა. აქედან, 12 პროცენტს „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო", 3 პროცენტს კი მსესხებელი გადაიხდის. შპს „ვაზიანი კომპანი"-ს დირექტორი **ლევან ფაღავა** ამბობს, რომ შეღავათიანი აგროკრედიტის მეშვეობით 300 ათასი აშშ დოლარი დაეზოგება. ამ თანხას კი საწარმოს გადაიარაღებისთვის დახარჯავს.

„ვაზიანი კომპანი" ალკოჰოლური სასმელების, ძირითადად — ღვინის წარმოებასა და რეალიზაციას ახორციელებს. სახელწოდება ახალია, თუმცა მენეჯმენტს ამ სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. სს კომპანია „ვაზიანი" 1982 წელს დაფუძნდა, რომელიც ალკოჰოლური სასმელების წარმოება-რეალიზაციით იყო დაკავებული. გასულ წელს კომპანიის რეორგანიზაცია მოხდა. „ვაზიანის" ერთადერთი სამართალმემკვიდრე სწორედ „ვაზიანი კომპანი" არის.

კომპანიას თელავის რაიონში პირველადი ქარხანა აქვს, სადაც ყურძნის მიღება და დამუშავება ხდებოდა, ჩამოსასხმელი ხაზი კი თბილისში ფუნქციონირებდა. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ღვინის წარმოების მთელი ჯაჭვი თელავში აეწყო.

საწყის ეტაპზე მენეჯმენტს საწარმოს ასამუშავებლად 2 მლნ დოლარის ინვესტირება აქვს გადაწყვეტილი, აქედან 1 550 000 აშშ დოლარის აგროკრედიტს „ვითიბი ბანკისგან" მიიღებს. დამტკიცებული სესხიდან 600 000 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიცა.

„უნდა შევიძინოთ თანამედროვე, იტალიური ძირითადი საშუალებები. ჩვენ 1 550 000 ლარის სესხის მიღებასთან დაკავშირებით ბიზნესგეგმა მოვამზადეთ. შემდეგ კი „ვითიბი ბანკს" დავუკავშირდით, რომელიც მხარში დაგვიდგა და მუშაობა დავიწყეთ. სწორედ ამ პერიოდში ცნობილი გახდა, რომ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი" იწყებოდა. „ვითიბი ბანკის" დახმარებით ბიზნესგეგმა პროექტის კოორდინატორებს გადავუგზავნეთ. გეგმამ მათი მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილა, შესაბამისად, მაქსიმალური თანხა, 600 ათასი აშშ დოლარი, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში მივიღეთ. სესხი 5-წლიანია. ამ პროექტის მეშვეობით, დაახლოებით, 300 ათასი აშშ დოლარი დამეზოგება, რომელსაც წარმოების გადაიარაღებას მოვახმარ. ეს კი საშუალებას მომცემს, წარმოება უფრო დაიხვეწოს და განვითარდეს... პირველი ტრანში ბანკიდან გასულ კვირაში გავიტანეთ. დამტკიცებული სესხი 3 თვეში უნდა ავითვისო. ქარხნის მშენებლობა უკვე დაწყებულია. იტალიურ კომპანიასთან საჭირო დანადგარების შეძენაზე შეთანხმებული ვართ და მალე შეკვეთასაც მივცემთ. საწარმო თელავში გაიხსნება. პირველ ეტაპზე 40-50 ადამიანს დავასაქმებთ. მუშახელი ადგილობრივი იქნება," — გვითხრა შპს „ვაზიანი კომპანი"-ს დირექტორმა ლევან ფაღავამ.

„ვაზიანი კომპანი", ძირითადად, ექსპორტზე მუშაობს. მის მიერ წარმოებული ღვინის ექსპორტი ხდება უკრაინაში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, ჩინეთში, მცირე რაოდენობით ამერიკასა და სხვა ქვეყნებში.

„კრედიტის ჯამური თანხის დანარჩენი მოცულობა, 950 000 აშშ დოლარი, „ვითიბი ბანკის" დაფინანსებით გაიცა. აღნიშნული თანხის მიზნობრიობას ქარხნისთვის ძირითადი საშუალებების შეძენა და საბრუნავი საშუალებების დაფინანსება წარმოადგენს... შპს „ვაზიანი კომპანი" „ვითიბი ბანკის" კორპორატიული კლიენტია," — აცხადებენ „ვითიბი ბანკში".

600 000 აშშ დოლარი „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის", მესამე კომპონენტს — საინვესტიციო აგროსესხებს მიეკუთვნება. პროექტის პირობების თანახმად, მესამე კომპონენტი 1 მლნ ლარამდე (ექვივალენტი აშშ დოლარში) სესხს შეადგენს. ეს არის აგროსაწარმოებისთვის განკუთვნილი 7 წლამდე შეღავათიანი აგროკრედიტი. მისი წლიური საპროცენტო განაკვეთი არაუმეტეს 3 პროცენტია. აგროკრედიტი ითვალისწინებს ძირითადი საშუალებებისა და ტექნოლოგიების ხანგრძლივი პერიოდით დაფინანსებას... სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნული კომპონენტით, მინიმუმ, 60 საწარმოს გახსნაა ნავარაუდევი.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით" ისარგებლა მცირე ფერმერმა, 21 წლის არჩილ ადუაშვილმა. მას სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში 8 ჰექტარი მიწა ქირით აქვს აღებული, სადაც საზამთრო უნდა მოიყვანოს. არჩილ ადუაშვილს 17 ათასი ლარის აგროსესხი „პროკრედიტ ბანკმა" დაუმტკიცა. კრედიტი „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" მეორე კომპონენტის ფარგლებში გაიცა, რომელიც საშუალო და მსხვილ ფერმერებზეა გათვლილი. მეორე კომპონენტი ითვალისწინებს 5000-დან 100 000 ლარამდე 2-წლიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობას. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი 8 პროცენტზე მაღალი არ იქნება. მისი მიზანია საბრუნავი საშუალებების და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით.

„პროკრედიტ ბანკმა" არჩილ ადუაშვილს სესხი 17 პროცენტად დაუმტკიცა. 8 პროცენტს მცირე ფერმერი გადაიხდის, 9 პროცენტს კი ბანკში „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო" გადარიცხავს. „აღებული სესხით სასუქი და საწვავი უნდა შევიძინო. ასევე მუშახელის ხელფასი დავფარო... პაპაჩემი და მამაჩემი თითქმის 20 წელზე მეტია საზამთროს მოყვანით არიან დაკავებულნი. 4 წელია, რაც დამოუკიდებლად დავიწყე საზამთროს მოყვანა. საქმეს დამოუკიდებლად ვმართავ, თუმცა საზამთროს მოყვანით ბავშვობიდან ვარ დაკავებული... 18 წლიდან ვთანამშრომლობ „პროკრედიტ ბანკთან". სესხს ვიღებ და მოსავლის დაბინავების შემდეგ ვაბრუნებ. გასულ წელს 6.5 ჰექტარზე მქონდა საზამთრო გაშენებული... წელს 6-თვიანი სესხი ავიღე. 17 პროცენტში დამიმტკიცდა. 9 პროცენტს სააგენტო დაფარავს. 8 პროცენტს მე გადავიხდი. მნიშვნელოვანი თანხა დამეზოგება... რეალიზაციის პრობლემა არ მექნება. ჩემი კლიენტები მყავს. ადგილზე მოდიან და მიაქვთ პროდუქცია. მოსავლის 10 პროცენტის რეალიზება თბილისში ხდება, დანარჩენი ქუთაისსა და ბათუმში იყიდება," — გვითხრა მცირე ფერმერმა **არჩილ ადუაშვილმა.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს", „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი" აფინანსებს, მისი გახორციელება კი, „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს" დაეკისრა. სამკომპონენტიანი პროგრამის პირველი კომპონენტი მცირე ფერმერებზეა ორიენტირებული. მათ შეუძლიათ, 5000 ლარის ფარგლებში 6-თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მიიღონ. იმ შემთხვევაში, თუ კი ფერმერები კრედიტს 6 თვეში ვერ დაფარავენ, ყოველ მომდევნო თვეში მათ 3 პროცენტის გადახდა მოუწევთ.

უპროცენტო განვადებით სარგებლობისას, მაღაზია ფერმერს შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს (ინვოისს) გამოუწერს, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტი აანალიზებს.

საფინანსო ინსტიტუტსა და მაღაზიას შორის მოლაპარაკების შედეგად, ფერმერს/მეწარმეს საშუალება ეძლევა, პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში, გამოიტანოს მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმოო საშუალებები, სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, ვეტ-პრეპარატები, გარდა სასუქისა.

„სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს" დირექტორი **გიორგი ჩხეიძე** აცხადებს, რომ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" მიმართ პოტენციურ ბენეფიციართა ინტერესი საკმაოდ მაღალია: „ბანკებს რამდენიმე ათასზე მეტი სასესხო განაცხადი აქვთ მიღებული, რომლებიც დამუშავების პროცესშია. ამასთან ერთად, ბანკებში მისულია გაცილებით მეტი (ამის შესახებ ზუსტ მონაცემებს არ ვფლობთ) სესხის მიღების მსურველი, რომლებსაც პროექტის ფარგლებში დაფინანსებაზე უარი სხვადასხვა მიზეზით უთხრეს," — ამბობს გიორგი ჩხეიძე.

15 აპრილის მონაცემებით, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" ფარგლებში უკვე დამტკიცებულია 258 სესხი. სამივე კომპონენტში ბანკების მიერ გაცემულია 1,294,500 აშშ დოლარი და 1,278,548 ლარი.

„სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს" დირექტორის განცხადებით, პირველ კომპონენტში ბენეფიციართა მოთხოვნა ნაკლებია. ამის მიზეზად გიორგი ჩხეიძე სასოფლო სამეურნეო ბარათებით ანალოგიური საქონლის უფასოდ მიღების შესაძლებლობას ასახელებს; მე-2 და მე-3 კომპონენტში კი მოთხოვნა თანაბრად მაღალია.

www.agro.gov.ge

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

ქვირის ჰოროსკოპი

♈ **ვერძი** — არასასურველია ფინანსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. კარგად გააანალიზეთ შემოთავაზებული წინადადება და მხოლოდ ამის მერე დათანხმდით.

♉ **კურო** — სამსახურში რეალურად მოგეცემათ შანსი, რომ ყველას დაუმტკიცოთ, თუ როგორი კარგი და შეუფასებელი თანამშრომელი ხართ. ნუ გაუშვებთ ხელიდან ასეთ შანსს.

♊ **ტყუპები** — დაალაგეთ თქვენი აზრები და გრძნობები, სანამ იმოქმედებთ. თავი აარიდეთ პრობლემებს. დაგეგმეთ საქმეები და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელეთ.

♋ **კირჩხიბი** — მიენდეთ ინტუიციას და გარემოების მიხედვით იმოქმედეთ. თუმცა არ ღირს საღი აზრის დავიწყებაც და მთლიანად გრძნობების ნდობა.

♌ **ლომი** — შეგიძლიათ შეცვალოთ ჩვეული ყოველდღიურობა და სტერეოტიპები. იყავით აქტიური და ნურაფერზე ეტყვით საკუთარ თავს უარს. ამ კვირას წამოწყებული ნებისმიერი საქმე გამოგივათ.

♍ **ქალწული** — სტაბილური სიტუაციაა, შესაძლებელია ბიზნესის გაფართოებაზეც კი მოგიწიოთ დაფიქრება. საგულდაგულოდ აწონეთ თქვენი სიტყვები, გეგმები და ქმედებები, მაშინ ყველაფერი გამოგივათ. ბიზნესის წარმატება თქვენს წინდახედულობაზეა დამოკიდებული.

♎ **სასწორი** — ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა და სურვილი გვაქვს. როცა ვფიქრობთ, რომ სადაცაა, ოცნებას ავისრულებთ, სწორედ მაშინ ინგრევა ყველაფერი.

♏ **მორიელი** — თავს ბევრი საქმე დაგატყდებათ ერთად. უმჯობესია, თუ ზოგიერთ მათგანზე თვითდაჯერებულად იტყვით უარს.

♐ **მშვილდოსანი** — იგნორირებას ნუ გაუკეთებთ შესაძლებლობას, რაიმე შეცვალოთ ცხოვრებაში. ცვლილებების სპექტრი საკმაოდ ფართოა, სამსახურით დაწყებული და პირადულით დამთავრებული. ეცადეთ სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ, წარმატება თქვენს მხარესაა.

♑ **თხის რქა** — დიდია ალბათობა სასიკეთო ცვლილებებისა, რომლებიც ბევრ რამეზე, მათ შორის პირად და საქმიან სფეროზე დადებითად იმოქმედებს.

♒ **მერწყული** — მზად იყავით მძიმე და დაძაბული სამუშაოსთვის. მუშაობის დროს ეცადეთ არაფერი გამოგეპაროთ, დაშვებული შეცდომა, შესაძლებელია, მომავალში ძვირად დაგიჯდეთ.

♓ **თევზები** — მეტი ნდობით მოეკიდეთ საკუთარ თავს, სწორ გზას აიგებართ, ნუ აყვებით უსაფუძვლო ეჭვებს. მთელი ენერგიით იმუშავეთ. შრომა დაგიფასდებათ.

1	3	2	6	5	7	4	9	8
8	2	9	7	4	3	1	5	6
4	7	5	8	7	9	6	2	1
9	1	2	3	4	5	8	6	7
3	4	5	7	6	8	9	1	2
5	1	2	4	3	6	7	9	8
6	8	3	1	2	2	8	5	1
7	5	4	3	5	1	4	3	7
2	4	8	4	1	6	2	9	3

მწვანე აფთიაქი

გვირილა

გვირილა ყვავილთა სამეფოს კონკიაა — გარეგნულად მოკრძალებული, მაგრამ ძალიან სასარგებლო, რაც მას დიდ უპირატესობას ანიჭებს ფლორის სხვა, უფრო მნიშვნელოვან და ლამაზ წარმომადგენლებთან შედარებით. იშვიათია ადამიანი, ვისაც ეს საოცარი მცენარე არ გამოუყენებია.

მისი ნაყენი უებარი გამოსავლები საშუალებაა ყელის, კბილის, ღრძილების ტკივილის დროს. პატარებს მისი ნახარში მუცლის ტკივილს უამებს. ეს მცენარე შედის მრავალი იმ მედიკამენტის შემადგენლობაში, რომლებსაც სტომატიტის, გინგივიტის, კოლიკის საწინააღმდეგოდ იყენებენ. ლათინური სახელი „მატრიხ“ გვირილას იმის გამო ეწოდა, რომ უამრავ ქალურ პრობლემას შველოდა. ავიცენა გვირილას დაუძლურების დროს უცვლელ საშუალებად მიიჩნევდა. გვირილას თანაბარი სიხშირით იყენებენ როგორც ბავშვების, ისე მოზრდილებისთვის.

ეს ძალიან მსუბუქი მცენარეული საშუალებაა, რომლის წინაშე უკან იხევს მრავალი სნეულება, მათ შორის — სასუნთქ ორგანოთა ქრონიკული დაავადებები, დიათეზი, დერმატიტი, ეგზემა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, საშვილოსნოდან სისხლდენა. გვირილა ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან სამკურნალო მცენარეთაგან, რომელთა მიღებაც რეკომენდებულია კუჭის მაღალი მჟავიანობის დროს. გვირილის ნაყენი ამცირებს ნაწლავებში აირების წარმოქმნას, ხსნის სპაზმს, კუჭის ლორწოვანი გარსის შეშუპებას, აძლიერებს ნაღვლის გამომუშავებას, ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის სწრაფ შეხორცებას, ამშვიდებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. ხალხური მედიცინა გვირილას იყენებს ნაყენის, ნახარშის, ჩაის, აბაზანის, აპლიკაციის, საფენისა და სავლების სახით. თანამედროვე ექიმებიც ფართოდ იყენებენ გვირილის სამკურნალო თვისებებს, რეკლამას უწევენ მას, როგორც სწრაფმოქმედ საშუალებას სურდოს დროს. კარაბადინებში იოლად იპოვით გვირილისგან დამზადებული საშუალებების რეცეპტებს.

გვირილა იმ **გამაახალგაზრდავებელი ელექსირის** ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც ტიბეტელმა ბუდისტმა ბერებმა გამოიგონეს. რეცეპტი საოცრად მარტივია. აიღეთ 100-100 გრამი კრაზანა, გვირილა, უკვდავა (ნეგო) და არყის ხის კვირტი, 1 ჩაის კოვზ ნარევს დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი და 3 საათით დააყენეთ. მიიღეთ ძილის წინ თაფლთან ერთად. ელექსირი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, სახსრების ელასტიკურობას, კურნავს სიმსუქნეს (გაცხიმოვნებას), ჰიპერტონიას, ორგანიზმიდან აძევებს ტოქსინებს და აუმჯობესებს მხედველობას.

თუ მუცლის ღრუს სპაზმებს, გაღიზიანებადობას ან უძილობას უჩივით, აბების ჩაყლაპვას თუ მიქსტურების სმას ნუ იჩქარებთ, მიიღეთ გვირილის ჩაი ან ნაყენი.

დამამშვიდებელი ჩაი: აიღეთ 1 ჩაის კოვზი გვირილის ყვავილი 1 ჭიქა მდუღარე წყალზე, დააყენეთ 10 წუთით, გაწურეთ და მიიღეთ 1 ჩაის კოვზ თაფლთან ერთად ძილის წინ უძილობის ან ძლიერი გადაღლილობის დროს.

აიღეთ 6 წილი გვირილის ყვავილი, 4 წილი კატაბალახას ფესვი და 1 წილი ძირა. 1 სუფრის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 20 წუთით, გაწურეთ და მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა დილა-საღამოს მეტეორიზმის დროს.

ღრძილების ანთების საწინააღმდეგოდ: აურიეთ ერთმანეთში თითო ჩაის კოვზი კრაზანა, მინდვრის შვიტა, გვირილა, დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი, ადუღეთ 3 წუთი, დააყენეთ, 30 წუთის შემდეგ გადაწურეთ და გამოივლეთ პირში, დღეში 5-6-ჯერ.

თამარ ასკურავა



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

„მე წავიკითხავ „ვეფხისტყაოსანს“

ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ „ვეფხისტყაოსნის“ სახალხო კითხვა მოაწყო ისტორიული „ოქროს ჩარდახის“ ეზოში. რუსთაველის უკვდავი სტრიქონები, რომლებიც, საუკუნეებია, თაობიდან თაობას გადაეცემა, დიდი მონდომებით გააცოცხლეს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებმა.

როგორც ღონისძიების თაოსანმა, სასახლის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგემ ნატო ხეცურიანმა გაზეთ „P.S.“-ს განუცხადა, პოემის სახალხო კითხვაში მონაწილეობისათვის განაცხადი შემოიტანა ქუთაისის 22-მა საჯარო სკოლამ. ასევე დიდი ენთუზიაზმით მოვიდნენ კერძო სკოლების – „გონის“, „მერმისის“, „KGSL“-ის; კადეტთა ლიცეუმის, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელები.

დიდ ბანერზე აღბეჭდილი დევიზი „მე წავიკითხავ ვეფხისტყაოსანს“ სამი საათის განმავლობაში ერთნაირი ენერგიით მუხტავდა მესამე თუ მეთორმეტეკლასელებს. მათგან ხუთი გამორჩეული მკითხველი „ვეფხისტყაოსნით“ დაჯილდოვდა, დანარჩენ მონაწილეებს კი სამახსოვრო ფლაერები დაურიგდათ. ბავშვებს ასევე გადაეცათ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საპატიო სიგელები.

„სასახლის პედაგოგებს ღონისძიების მომზადებაში დიდი თანადგომა გაგვიწია ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებამ, – განაცხადა „P.S.“-თან საუბრისას ღონისძიების იდეის ავტორმა ნატო ხეცურიანმა, – ჩვენი ჩანაფიქრი იყო, ბავშვებისათვის გაგვეცოცხლებინა ის კარგი ტრადიცია, როდესაც სხვადასხვა თაობის ადამიანებმა ზეპირად იცოდნენ „ვეფხისტყაოსანი“ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რუსთაველის გაგებაში, მისი უკვდავი სტრიქონების ცოდნაში.“

თამო ბიბიჩაძე

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

საქართველოს მთავარი პროკურორი **არჩილ კბილაშვილი სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

დათა ახალაია

ძმები გაჩეჩილაძეები

„ასეთია გრეჩიხების ბედი“...

რეზო დეისაძე

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3. რა არის მტკვარი? 5. ცურვის ერთ-ერთი სტილი. 6. ბედი, იღბალი. 8. მომღერალი ვანესა... 9. ქალაქი საქართველოში. 11. მდინარე ახლო აღმოსავლეთში.

შვეულად: 1. ... შარტავა. 2. ძველი ჩინელი ფილოსოფოსი .. ცზი. 3. ქალაქი და პორტი საფრანგეთში. 4. ქვეყანა აფრიკაში. 7. სანიავებელი. 10. მარსის თანამგზავრთა რაოდენობა.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ტრაპახი. 5. აგავა; 6. სიო. 8. მიე. 9. პალაუ. 11. ინდოეთი.
შვეულად: 1. ქარვა. 2. მაო. 3. ტუგრიკი. 4. ისპარი. 7. მატეო. 10. ოდა.

სუდოკუ

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამეორდეს!

		6	4		3			7
		8	5					3
		5	1					9
	5			3			8	
	2			7			3	
	4			9			1	
5					2	4		
9					6	3		
1			3		8	5		

ქიმერიონი
qimerioni.ge

წიგნები
შენ გელოდება!

მისამართი:
ქუთაისი, „პოპული";
ტელ.: (790) 927 927.

გმირები საკუთარ თავზე არ ლაპარაკობენ

ნაცნობი და უცნობი დათო მირზაშვილი

ბევრი მეგობარი ჰყავს. ვერავის ნახავთ მასზე აუგის მთქმელს. იცნობენ, როგორც ღირსეულ და კეთილშობილ ადამიანს, შესანიშნავ ტელეოპერატორს, არაჩვეულებრივ ფოტოგრაფს, რომლის ნამუშევრებსაც უმალ გამოარჩევ საინტერესო რაკურსით და ინდივიდუალურობით... მისი ბიოგრაფიის ერთი სრულიად მიჩქმალული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაკვეთი კი, რომელიც ყველაზე საინტერესოა, სამწუხაროდ, ჯერ არავის უღიარებია...
საქართველოს ტელევიზიის ქუთაისის განყოფილების ამჟამინდელი ოპერატორი დათო მირზაშვილი დღემდე დუმს და ამ დუმილის მიღმა მალავს თავის ფრონტულ ცხოვრებას. ბევრი კარგი ადამიანია მის ირგვლივ, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამ ჩუმ, უპრეტენზიო, მოკრძალებულ ადამიანში ნამდვილი გმირი იმალება...

ეს 1992 წლიდან დაიწყო. მაშინ დათო მირზაშვილს ერთი თეთრიც არ ერია თმაში. ჩუმი, თუმცა თავისებურად ლაღიც გახლდათ.

დაიწყო აფხაზეთით და სამოქალაქო ომით გაგრძელდა. იყო სოხუმში, ტამიშში, გაგრაში, ოჩამჩირეში და, ვინ მოთვლის, კიდევ სად. ამ საშინელ, ძმათამკვლელ ომებში ის ჯარისკაცი იყო, ნამდვილი ჯარისკაცი, ოღონდ — კამერით ხელში. მაშინ მოულოდნელად აღმოვაჩინე პარადოქსი, თუმცა ფაქტი — ერთ პიროვნებაში შერწყმული ორი დათო, ერთი — უხმაურო, წყნარი, მეორე — შეუპოვარი, უშიშარი, ძლიერი.

მოულოდნელმა აღმოჩენამ და რადიკალურმა სხვაობამ ირეალობიდან რეალობაში გადმომისროლა და მე, მისი კოლეგა, ტყვიების პირველივე ზუზუნში გამაოცა. ომში ჩაბმულებს, რასაკვირველია, ერთმანეთზე ზრუნვა გვევალებოდა. საშინელ კაკაფონიაში დათოს მოვიკითხავდი. ვერ ვპოულობდი, ვეძებდი და აღმოვაჩენდი: სანგარში ჩაწოლილ ჯარისკაცებს შორის იდგა მისი ერთგული კამერით, იღებდა სისხლიან ისტორიას ფირზე, ტყვიები კი ზუზუნებდნენ... დათო მათ აინუნშიც არ აგდებდა. „დაწექი, გესვრიან, მოგკლავენ!" — ჩემი და ჯარისკაცების ყვირილს ის ჩუმი ღიმილით უპასუხებდა და საქმეს განაგრძობდა. მერე კი, ვითომც არაფერი, მეტყოდა: „სანგარში ჩასაწოლად ხომ არ წამოვსულვარ!"

და მიეხვდი, რომ მისთვის თავგანწირვა ერთი ჩვეულებრივი და უბრალო რამ იყო და არა — რისკი, არა — სიცოცხლის დაკარგვის შიში... ჩემს წინ ჩვენი დროის გმირი იდგა, გმირი, რომელიც არც სახელს ეძიებდა და არც მადლობები უგროვებია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი დათოს ფრონტული ცხოვრებიდან ოჩამჩირე იყო. 1994 წლის 29 სექტემბერი. მოულოდნელად დაიწყო ქალაქის დაბომბვა. წარბშეუხრელად დადის ქუჩებში დათო. იღებს იავარქმნილ, ცეცხლმოკიდებულ სახლებს, დაჭრილ და გარდაცვლილ ადამიანებს. სისხლის გუბეშიც უწევს დგომა. კამერა კი არ ითიშება, დაუღლელად მუშაობს ოსტატის ხელში. მერე კი 27-საათიანი მომქანცველი, ლტოლვილებით ჩახერგილი გზა. ყველაზე ბოლოს გამოვდივართ ოჩამჩირიდან, აფხაზები ფეხდაფეხ მოგვდევენ. თავგამოდებით მუშაობს დათო რეზო ბუხსიანიძესთან ერთად და... სისხლიანი ისტორიაც აღბეჭდილია.

„გავა დრო, წარსულს გააზღაპრებს დრო და მანძილი და ისტორია ამ ტკივილსაც ამოიკოხნის," — ერთი ლექსის პერიფრაზმა მწარე რეალობასთან დამაახლოვა. ქართველებს ახსოვთ დაკარგული ტერიტორიები, თუმცა ნაკლებად იხსენებენ იმ ტრაგიკული ისტორიის მემატიანეებს.

დათო კი დუმს და ამ დუმილშია სწორედ მისი ღირსება.

არ უყვარს წარსულის გახსენება მხოლოდ იმიტომ, რომ თავის წარმოჩენას გაურბის. დიდი მატიანე შექმნა და მაინც დუმს. ქართველთა სირცხვილის კადრებიც მოიპოვა თავგანწირვით და დუმს. სიკვდილსაც ბევრჯერ ჩახედა თვალებში და მაინც დუმს.

ახლახან ვცადე დათოს ალაპარაკება, თუმცა წინასწარვე ვიცოდი, რომ მცდელობა კრახით დასრულდებოდა.

სატელეფონო საუბარი:

— დათო, შენთან საქმე მაქვს. სულ პატარა ინტერვიუ მინდა, ჩავწერო.

ყვირილი ყურმილში და კატეგორიული ტონი:

— გაგიჟდი? როდის იყო, ინტერვიუს ვიძლეოდი, მეორედ აღარ გამაგონო, გთხოვ.

მიეხვდი, ასე არაფერი გამოვიდოდა, პრესსამსახურში მივაკითხე:

— დათო, ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე რამდენიმე შეკითხვაზე არ მიპასუხებ.

— ნინო, ხომ იცი ჩემი ამბავი? არ მიყვარს აპელირება. კი დავრბოდით, მივრბოდით, მოვრბოდით, მერე, რა გავაკეთე ისეთი? ეს ვალდებულება იყო. ჩინმედლები არ მომითხოვია არავისთვის.

— კი, მაგრამ, არ მესმის, რატომ არ გინდა, ცოტა რამ მაინც გაიხსენო?

— შე-მე-შ-ვი... ამდენი ხანია, არ მილაპარაკია და ამ სიბერეში ავლაპარაკდე? (იცინის) ან ვის რაში სჭირდება? შენ ხომ იცი, რაც ხდებოდა, თავად გაიხსენე... ისე, შენ რატომ არ ლაპარაკობ, ჩემი რომ გიკვირს?

— ეხ, დათო, დათო, ამ ისტორიის გახსენება, სხვას რომ თავი დავანებოთ, შენს შვილს სჭირდება, მან ხომ უნდა იცოდეს, როგორი მამა ჰყავს? კი, ბატონო, ვიცი და დავწერ კიდეც...

— კაი, დაწერე, რაც გინდა! ოღონდ მე ნუ მალაპარაკებ.

აი, ჩემი „ენაწყლიანი" კოლეგის „შთამბეჭდავი" ინტერვიუ!

ასეთია დათო მირზაშვილი — კარგი მეგობარი, კოლეგა, არაჩვეულებრივი მეუღლე და მამა.

მეგობართა მცირე ჯგუფი ასე საუბრობს მასზე:

თემურ ჭელიძე („დონე"), ტელეოპერატორი: „დათოზე უნდა ვთქვა? სიტყვაც არ მეყოფა. მეგობრობაში კაცური კაცია, მას ანდობ დედას, ცოლს, შვილს. თავის საქმეს გადადებს და შენსას გააკეთებს. კაცი — საყრდენი კედელი!"

მანანა ცანავა, ჟურნალისტი: „ორიოდე სიტყვით ძნელია დათოს დახასიათება. სიტყვას ვერ ვიპოვი, მას რომ მოუხდეს, თბილ სიტყვებს შორის. ეს არის ყველაფერი ერთად, რაღაც კრებული, ერთ ადამიანში მოქცეული. ერთი სიტყვაც საკმარისია თქვა, გრძნობ, რომ უყვარხარ. არ მეგულება ადამიანი, პატივისცემით არ განიმსჭვალოს მის მიმართ. ძალიან, ძალიან მიყვარს."

ნანა რობაქიძე, ჟურნალისტი: „სულიერად და ფიზიკურად ლამაზი, კეთილშობილი, ყურადღებიანი, ერთგული, პროფესიონალი, ღვთით მომადლებული ნიჭის მქონე, ვაჟკაცური, თანაც მორიდებული. მისი სახით გვერდით გყავს ადამიანი, რომლის იმედიც ყოველთვის გაქვს. წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული, რომანტიული, უდიდესი ხელოვანი. თუკი რამ შეიძლება დაიფერთხოს უფლისგან — ხვავი, ბარაქა, მადლი, ყველაფერი უნდა ჰქონდეს დათოს, მის პატარა ოჯახთან ერთად."

ეს კოლეგების მცირე ჯგუფის ნაზრევია მხოლოდ. თუმცა ასე ფიქრობენ სხვებიც, ასე ეფერება ყველა.

ცხოვრებამ სერიოზული გამოცდა მოუწყო. მეუღლის, ირმა ჯგერენაიას ტრაგიკულმა ისტორიამ (ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ იგი დღემდე საწოლსაა მიჯაჭვული) კიდევ უფრო ჩუმი და გულჩახვეული გახადა, კიდევ უფრო დაუთოვა თმაზე, თუმცა მისი სიცოცხლის არსი და არსი პატარა, ულამაზესი და უმშვენიერესი, მამის ნებიერა ანაა.

შვილი მისთვის ყველაფერია. პატარა

დათო მირზაშვილი

ქალბატონიც გრძნობს მამის განსაკუთრებულ სიყვარულს და რა გასაკვირია, მამა მისთვის უსაყვარლესი და განუმეორებელი იყოს. დათო ხომ მთელ ქუთაისს უყვარს.

ანამ ჯერ არ იცის, ვინ არის მისი მამიკო, რა უკეთებია, როგორი მისაბაძი პიროვნებაა, თუმცა ერთ დღეს აუცილებლად გაიგებს:

ტელეოპერატორ დათო მირზაშვილის მიერ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადაღებული უამრავი დოკუმენტური კადრი ხომ შთამომავლობას მრავალი წლის შემდეგაც შეუღამაზებლად მოუყვება ომის სისხლიან ამბებს, გააცნობს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ მონაკვეთს.

ნინო ქოწენიძე